

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ო ქ მ ი N 4

სხდომის ჩატარების დრო:

02 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული ცისფერი დარბაზი

ოთახი N210

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი მაგდა კოსტავა.

სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს წევრები: მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, მაია სიმონიძე, ელენონრა არჩაია, ხათუნა არველაძე, ქეთევან ციბაძე, მაკა ცერცვაძე, ლანა თოთაძე, ნოდარ ჯიქია, ლარისა შენგელია, მერი გელაშვილი, ასმათ ჯანგავაძე, თინათინ გელხვიძე, ფიქრია ხაჭაპურიძე, ია მაჩიტაძე.

სულ: 28 წევრიდან 16 წევრი.

არ ესწრებოდნენ: გრიგოლ შუმანია, თეა ჯუღელი, ბაქარ მახარაძე, ირაკლი შენგელია, მამუკა რიჟამაძე, ნინო ჩიკვაშვილი, ქეთევან ხურციძე, ქეთევან ბერძენიშვილი, მაია ყუფარაძე, ნანა რობაქიძე, მაკა აბულაძე, თინათინ მილორავა.

სულ: 12 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საბჭოს წევრები და მოწვეული ექსპერტები: ირმა პავლიაშვილი, (საერთაშორისო ორგანიზაცია „IFES“-ის ექსპერტები გენდერულ საკითხებში) მირანდა ტყაბლაძე (საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდილის წარმომადგენელი, გენდერისა და ინკლუზიის

საკითხებში) და შორენა ხუხუა - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სხდომაზე წარდგენილი იყო დღის წესრიგი, რომელიც ორი საკითხისგან შედგებოდა:

1. „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ლოკალური პროგრამის (OGP Local) წარდგენა.
2. გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის პრორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების წარდგენა/მიმოხილვა.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მაგდა კოსტავამ, რომელმაც დღის წესრიგი დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოს წევრებს.

დღის წესრიგი, საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული, რის შემდეგაც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა ქუთაისის მინიციპალიტეტის მერიის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, შორენა ხუხუას გადასცა, რომელმაც პროექტის OGP Local -ი წარადგინა.

OGP -ის ინსტიტუციური მოწყობა:

წევრები:

- 77 ქვეყანა და 106 თვითმმართველი ერთეული მმართველი საბჭო (მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება)
- მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტი
- კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტი
- თემატური ლიდერობის ქვეკომიტეტი
- დირექტორთა საბჭო
- დამხმარე სამმართველო/სამდივნო
- საერთაშორისო ექსპერტთა პანელი
- დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM)

OGP-ის პროცესი საქართველოში

საქართველო OGP-ის წევრია 2011 წლიდან;

2015 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც დაამტკიცა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა და ხელი მოაწერა საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციას;

საქართველოს შემუშავებული აქვს 4 ეროვნული სამოქმედო გეგმა;

თბილისი OGP-ის ადგილობრივი პროგრამის მონაწილეა 2016 წლიდან და 2 სამოქმედო გეგმა აქვს შემუშავებული;

2017 წელს საქართველო OGP-ის წამყვანი თავმჯდომარე ქვეყანა გახდა;

2018 წელს OGP-ის მე-5 გლობალური სამიტი თბილისში ჩატარდა;

2022 წელს - OGP წევრი რუსთავისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები გახდნენ

OGP-ის ადგილობრივი პროგრამა

მონაწილეებს საშუალებას აძლევს:

გაეცნონ როგორ გამოიყენონ ღია მმართველობის პრინციპები მოქალაქეთა ყოველდღიური საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად;

მიიღონ OGP-ის მმართველი საბჭოსა და სამდივნოს საერთაშორისო ექსპერტული დახმარება ახალი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში;

გაიუმჯობესონ რეიტინგები ისეთ აღიარებულ კვლევებში, როგორცაა ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი;

აიმაღლონ ცნობადობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ და გაზარდონ სხვა ქვეყნების მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები;

მიიღონ აღიარება/წამახალისებელი ჯილდოები OGP-ისგან.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ძირითადი პრინციპები

1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2. საზოგადოების მონაწილეობა

3. ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება;

4. ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციური მიდგომები;

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

- ეხება სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ დაცულ ინფორმაციას;
- მოიცავს ყველა სახის ინფორმაციას სახელმწიფო ინსტიტუტების გადაწყვეტილებებზე, აქტივობებსა და ხარჯებზე;
- მოიცავს ინფორმაციის პროაქტიულ ან მოთხოვნის პასუხად გამოქვეყნებას;
- გულისხმობს ღია, ყოვლისმომცველ, დროულ და საზოგადოებისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომ ინფორმაციას;
- აკმაყოფილებს ღია მონაცემების ძირითად სტანდარტებს (მაგ. ნედლი მონაცემები, მანქანის მიერ წაკითხვადობა);
- გულისხმობს ეფექტურ ზედამხედველობასა და საჩივრების მექანიზმებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვაზე რეაგირებისთვის.

საზოგადოების მონაწილეობა

გულისხმობს საჯარო პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში ყველა დაინტერესებული ადამიანის თანაბარ საწყისებზე მონაწილეობას.

აფართოებს მოქალაქეთა უფლებას, რომ მათი ესმოდეთ და მათ ინიციატივებზე

უკუკავშირი მიიღონ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უფლების გაფართოებას.

მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების გამოხატვის, შეკრებისა და საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფასა და მისი გავლენის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე;

გულისხმობს სახელმწიფო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორებს შორის მულტისექტორული თანამშრომლობის ხელშეწყობას.

ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციური მიდგომები

გულისხმობს ღიაობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას იმ გზით, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს უკეთ გაიგონ, რას აკეთებს სახელმწიფო მათთვის და გავლენა მოახდინონ სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე;

მოიცავს ონლაინ და მობილური აპლიკაციების გამოყენებას საჯარო სერვისების მიწოდების, საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესებისთვის; მოიცავს ონლაინ და მობილურ ქსელებსა და პლატფორმებზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ამ ქსელებისა და პლატფორმების უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

გულისხმობს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე მოქალაქეთა ციფრული კომპეტენციების გაზრდას, რომ მათ მეტი ღიაობისა და ანგარიშვალდებულებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენონ;

ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება

გულისხმობს მყარი ანტი-კორუფციული პოლიტიკის, მექანიზმებისა და პრაქტიკის დანერგვას სახელმწიფო ინსტიტუტებში, განსაკუთრებით საჯარო ფინანსების, სახელმწიფო შესყიდვებისა და კანონის უზენაესობის სფეროებში.

მოიცავს რეგულაციებსა და მექანიზმებს, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებს ავალდებულებს დაასაბუთონ თავიანთი ქმედებები, რეაგირება მოახდინონ კრიტიკაზე ან მათთვის წაყენებულ მოთხოვნებზე და იკისრონ პასუხისმგებლობა კანონის ან ალტერნატიული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

მოიცავს თანამდებობის პირთა სავალდებულო ეთიკის/ქცევის კოდექსებისა და ქონებრივი დეკლარაციების ინსტრუმენტების დანერგვასა და მამხილებელთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას.

გულისხმობს კორუფციასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდასა და მათთვის საჩივრებით მიმართვის პროცედურებისა და მექანიზმების დახვეწას.

როგორ მუშაობს OGP?

1. გაწვევრიანება

თუ დასაშვებია, სახელმწიფო ერთვება. ადგილობრივი მთავრობები კონკურსში მონაწილეობენ.

2. განხორციელება

მთავრობა ახორციელებს

3. ვალდებულებების ერთობლივად შექმნა

მთავრობა და სამოქალაქო

საზოგადოება ერთობლივად ქმნიან სამოქმედო გეგმას.

4. დამოუკიდებელი

ანგარიშგების მექანიზმში მონაწილეობა.

5. სწავლა

ერთმანეთისგან სწავლის პროცესში ჩართვა

უნიკალური მოდელი

1. მრავალმხრივობის ახალ მიდგომა

თანაბარი პარტნიორობა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის;

თვითშეფასება / დამოუკიდებელი ანგარიშგება;

ერთმანეთისგან სწავლა და ცოდნის გაზიარება.

2. ქმედებაზე ორიენტირებული

მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება ერთობლივად ქმნიან სამოქმედო გეგმ ას;

იღებენ კონკრეტულ

ვალდებულებებს;

ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ერთობლივი ძალისხმევა.

მოქნილი, თუმცა ამბიციური

მონაწილეებს განსხვავებული საწყისიწერტილი აქვთ;
სხვადასხვა ჯგუფთან მუშაობა, არა მხოლოდსაუკეთესობებთან;
მწვერვალისკენ სწრაფვა.

OGP-ის ადგილობრივი სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის ვადები:

OGP-ის ადგილობრივ პროგრამაში გაწევრებიდან მომდევნო მუნიციპალურ არჩევნებამდე მინიმუმ 2 თვით ადრე, ანუ 2025 წლის აგვისტომდე საქართველოს შემთხვევაში.

სამოქმედო გეგმის შინაარსი:

ღია მმართველობის სტრატეგიული ხედვა;
დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმები;
დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანო/პირი;
ვალდებულებები (მაქსიმუმ 5).

სამოქმედო გეგმა ინგლისურ ენაზე უნდა შემუშავდეს და OGP-ის სპეციალური ონლაინ ფორმით უნდა გაეგზავნოს.

სამოქმედო გეგმის დასრულების შემდეგ, OGP Local-ის წევრებს 4 თვე აქვთ ახალი სამოქმედო გეგმის წარსადგენად.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგის მეორე საკითხი და სიტყვა მოწვეულ ექსპერტს **ირმა პავლიაშვილს** გადასცა, რომელმაც უშუალოდ შესამუშავებელი სტრატეგიის დოკუმენტზე და განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრა.

პრეზენტაცია;

ანგარიში/სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მეთოდოლოგია

- * სამაგიდე კვლევა:
 - * საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები;
 - * მუნიციპალიტეტის შესაბამისი აქტები;
 - * ინფორმაციის, მათ შორის სტატისტიკის ანალიზი.

- * თვისობრივი კვლევა:

- * ფოკუს ჯგუფები.

სამაგიდე კვლევა:

საქართველოს კონსტიტუცია

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები

გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება

ადამიანის უფლებების სტრატეგია 2022-2030 წწ

გენდერული თანასწორობის ახალი კონცეფცია (პროექტი)

დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2022-2023

საერთაშორისო სტანდარტები

- * ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- * სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- * ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- * ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია;
- * ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- * პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა;
- * მოსახლეობის და განვითარების კაიროს კონფერენციის სამოქმედო პროგრამა;
- * გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325;

- * ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია;
- * მდგრადი განვითარების მიზნები 2030.

თვისობრივი კვლევა

- ფოკუს ჯგუფი - საბჭოს წევრები;
- ინდივიდუალური ინტერვიუები:

საკრებულოს თავმჯდომარე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ხუთი მიზანი

- მდგრადი,
- ძლიერი,
- სანდო,
- გამჭვირვალე,
- ღია,
- თანასწორობის ეფექტური მექანიზმი

კვლევის მიზანი

- რისი მიღწევა სურს საბჭოს, როგორც ინსტიტუციას;
- რა გამოწვევების წინაშე იმყოფება საბჭო;
- როგორია საბჭოს ინსტიტუციური და საქმიანობის პრიორიტეტები;

ინსტიტუციური და საქმიანობის გამოწვევები

- ✓ კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის სიმწირე;
- ✓ ინფორმაციის, მათ შორის სტატისტიკის ფრაგმენტულობა;
- ✓ ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნება;
- ✓ ადამიანური და ფინანსურის რესურსების სიმწირე;
- ✓ ეფექტიანი კომუნიკაციის და ადვოკატირების მექანიზმი.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

- * სტრატეგიული მიზანი #1 გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება:

- * ამოცანა #1 - გენდერული საბჭოს გაძლიერება და გააქტიურება გენდერული თანასწორობის, ცნობიერების ამაღლების და მგრძობელობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით;
- * ამოცანა #2 - ფუნქციური და განმეორებითი, შიდა ორგანიზაციული საქმიანობის პროცესის აღწერა/განსაზღვრა;
- * ამოცანა #3 - პრაქტიკის გაზიარების მიზნით ჰორიზონტალური და ვერტიკალური კომუნიკაცია სხვა მუნიციპალიტეტების გენდერულ საბჭოებსა და საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან;
- * ამოცანა #4 - ადამიანური და ფინანსური რესურსებით გაძლიერება, მათ შორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვა;

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

- * სტრატეგიული მიზანი #2 გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა:
 - * ამოცანა #1 - პრიორიტეტების განსაზღვრა და ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება;
 - * ამოცანა #2 - კვლევის სტანდარტის, მეთოდოლოგიისა და სტატისტიკის განსაზღვრა (მათ შორის გენდერულად ჩაშლილი სტატისტიკის ცენტრალური დონიდან დროული მიღება/დამუშავება მუნიციპალიტეტის ჭრილში);
 - * ამოცანა #3 - ეფექტიანობის გასაზრდელად ჰორიზონტალური და ვერტიკალური კომუნიკაცია ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე;
 - * ამოცანა #4 - საბიუჯეტო პროცესისას - გენდერული განზომილების ანალიზი.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქიამ, მათა სიმონიძემ, ფიქრია ხაჭაპურიძემ, ასმათ ჯანგაძემ, ლარისა შენგელიამ.

ამით გენდერული საბჭოს მეოთხე სხდომამ მუშაობა დაასრულა

თანამდებობა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

მ. კოსტავა
მაგდა კოსტავა

ოქმი შედგენილია ... საკრებულოს საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების
განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ე. კრავიშვილის მიერ.